მემორანდუმი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

წინამდებარე მემორანდუმი გაფორმდა 2021 წლის 5 ნოემბერს

შემდეგ მხარეებს შორის

(1) **სსიპ ონის მუნიციპალიტეტი** (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საიდენტიფიკაციო კოდით: 237978275) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის სერგო ხიდეშელის მიერ („**მუნიციპალიტეტი**"); და

(2) **ა(ა)იპ ფეა თრეიზ ფაუნდეიშენ** (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი დაფუძნებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდით: 405096364) წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ირაკლი დვალის მიერ, შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში (**ფონდი**).

1. **მემორანდუმის მიზანი**

მემორანდუმის მიზანია ონის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო აქტივობებისა და გაცვლითი პროგრამების მუდმივი ბაზისა და ეკო-ტურისტული ცენტრების შექმნა, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობებსა და დემოკრატიულ ღირებულებებს.

2. **მემორანდუმის საგანი**

2.1 წინამდებარე მემორანდუმის პირობების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი აცხადებს, რომ მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა ფონდს პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადასცეს ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონება:

2.1.1 უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს მისამართზე: რაიონი ონი, სოფელი სორი, დაზუსტებული ფართობით: 3452.00 კვ. მ. და საკადასტრო კოდით: 88.08.22.154; და

2.1.2 უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს მისამართზე: რაიონი ონი, სოფელი სორი, დაზუსტებული ფართობით: 1706.00 ს.კ. და საკადასტრო კოდით: 88.08.22.155;

ჩამოთვლილი უძრავი ქონება ერთობლივად მოიხსენება როგორც „**საიჯარო ქონება**".

2.2 მუნიციპალიტეტი გამოუხმობად აცხადებს, რომ საიჯარო ქონებაზე იჯარის ხანგრძლივობა იქნება 25 (ოცდახუთი) წელი და ჯამური ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს.

2.3 მუნიციპალიტეტი დამატებით აცხადებს, რომ მაქსიმალური ძალისხმევით შეეცდება წინამდებარე მემორანდუმის 2.1.2 მუხლში მითითებული უძრავი ქონების საკუთარ ბალანსზე დროულად აღრიცხვას, რასთან დაკავშირებული პროცედურებიც ამ მემორანდუმის თარიღისათვის უკვე დაწყებულია.

3. **საიჯარო ქონების გამოყენება**

3.1 ფონდი კისრულობს ვალდებულებას, საიჯარო ქონების იჯარით მიღების შემდეგ ითანამშრომლოს The Royal Danish Academy-სთან, კომპანია Dinesen-თან და VAADS-ის

158

არქიტექტურულ სკოლასთან და შექმნას მუდმივი ბაზა საგანმანათლებლო აქტივობებისა და გაცვლითი პროგრამებისათვის. კერძოდ, პარტნიორებთან თანამშრომლობის ფარგლებში ფონდი მიმართავს მაქსიმალურ ძალისხმევას, რომ 2022 წელს გაიმართოს Oni Hub-In-ის საგაზაფხულო და საშემოდგომო სკოლები.

3.2 ასევე, ფონდის გრძელვადიანი მიზანია დაეხმაროს ეკო განათლებისა და ტურიზმის ცენტრებს და ადგილობრივ ტურიზმის ოპერატორებს. ამ კუთხით, ფონდი მხარს დაუჭერს ტურიზმის პროვაიდერების ბიზნეს უნარების განვითარებას ორგანულ, აგრო და მდგრად სამთო ტურიზმში.

4. მემორანდუმის ვადა

წინამდებარე მემრანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეების მიერ ამ მემორანდუმის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საიჯარო ქონებაზე მხარეებს შორის იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე და ფონდის მიერ შესაბამისი საიჯარო უფლების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციამდე.

5. წარმომადგენლობა და გარანტიები

5.1 მხარეები ერთმანეთის წინაშე წარმოადგენენ და ადასტურებენ, რომ თითოეული მხარე არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი იურიდიული პირი და მათ აქვთ უფლებამოსილება გააფორმონ და შეასრულონ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული პირობები.

5.2 მხარეები ასევე ადასტურებენ, რომ წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერა, გაფორმება და შესრულება ნებადართულია მხარეების მიერ შესაბამისი სახელმწიფო და კორპორატიული ქმედებებით.

6. ერთიანი ხელშეკრულება

6.1 წინამდებარე მემორანდუმი წარმოადგენს მხარეთა მთლიან შეთანხმებას. იგი უპირატესია და აუქმებს მხარეების ყველა წინა წერილობით თუ ზეპირ ხელშეკრულებას, დაპირებას, გარანტიას, წარმომადგენლობასა და შეთანხმებას მემორანდუმის საგანთან დაკავშირებით.

6.2 ორივე მხარე თანხმდება, რომ მათ არ აქვთ სამართლებრივი საშუალებები ისეთ განცხადებასთან, წარმომადგენლობასთან ან გარანტიასთან დაკავშირებით (გაუფრთხილებლად თუ დაუდევრად გაცემული) გარდა წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულისა.

6.3 წინამდებარე მუხლი არ ზღუდავს ან/და გამორიცხავს პასუხისმგებლობას თაღლითობისათვის.

7. სხვა დებულებები

7.1 წინამდებარე მემორანდუმი და ნებისმიერი დავა ან მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია მის საგანთან ან გაფორმებასთან (მათ შორის არა-სახელშეკრულებო დავები და მოთხოვნები) უნდა დარეგულირდეს და განიმარტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 ყველა დავა ან მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია წინამდებარე მემორანდუმის საგანთან ან გათორმებასთან (მათ შორის არა-სახელშეკრულებო დავები და მოთხოვნები), უნდა წარედგინოს საქართველოს სასამართლოებს.

7.3 წინამდებარე მემორანდუმი გათორმებულია 2 (ორი) ცალკეულ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და რომელთაგან ერთი ეგზემპლარი უნდა დარჩეს თონდს და ერთი - კლუბს.

ა(ა)იპ **თეა თრიიზ თაუნდეიბენის** სახელით და მის ნაცვლად

ხელმოწერა: _____

სახელი: მარიანა ბოლსი

პოზიცია: გამგეობის თავმჯდომარე

სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სახელით და მის ნაცვლად

ხელმოწერა: _____

სახელი: სერგო ხიდეშელი

პოზიცია: მერი